

БИБЛИОТЕКА

K.3145  
Ka

ქართული

1905 წელი  
საქართველოში

საბავშვო — ბავშვის

1926

მ. შალენდიაძე

1905 წელი  
საქართველოში

ს. ს. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობა

თბილისი - 1926

ტფილისი ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტორ. 1-ლი სტამბა, ჰლენ. კრ. № 91.

მთავარლიტი № 504. მ/II-26 შეკვ. № 4+00/739. ტირაჟი 2000.

## 1905 წელი საქართველოში.

დაწყებული მეოთხმოცდაათე წლებიდან ქართველი ხალხის (ე. ი. ქართველი მუშების და გლეხების) პოლიტიკური გათვითცნობიერება მდევის ნაბიჯით მიექანებოდა წინ. ამ ისტორიულ საქმეში პირველ როლს თამაშობდა „მესამე დასი“, მისი სულის ჩამდგმელი ე. ნინოშვილი, შემდეგ—„მესამე დასელები“, რომლებიც იდეოლოგიურ („კვალი“, „მოგზაური“) და პრაქტიკულ-პოლიტიკურ ასპარეზზე, მარქსისტულად უფრო მომზადებულნი და შეიარაღებულნი, ღირსეულად განაგრძობდნენ სულმნათი მასწავლებლის გზით სიარულს.

ამ პროცესმა (გათვითცნობიერებამ) 1905 წ. მიალწია მწვერვალს, როცა ქართველმა პროლეტარმა და ქართველმა გლეხმა, დარაზმულებმა სოციალ-დემოკრატიულ დროშის გარშემო, ზედმიწევნით იცოდნენ, თუ ვინ იყვნენ მათი კლასიური მტრები.

მემამულეები, ჩარჩ-ვაჭარ-კაპიტალისტები, მათი ზურგის გამმაგრებელი მეფის თვითმპყრობელობა, შეიარაღებული ჯარით, ჟანდარმერია-პოლიციით, ბიუროკრატია-ჩინოვნიკებით, სამღვდელოებით და ურიცხვი აგენტებით,—აი ვის წინააღმდეგ ააფრიალა (რუსეთის პროლეტარიატთან ერთად) წითელი დროშა და იშიშვლა ხმალი ქართველმა ხალხმა დიდებულ „ხუთ“ წელს.

„სისხლიანი კვირა“ (ცხრა იანვარი), რომელიც ერთსა და იმავე დროს იყო ასი ათასეული მუშათა მასების რევოლუციური ალტყინების და პირსისხლიანი მეფისად-

მი გულუბრყვილო ნდობის გამომხატველი, და რომელმაც ელვის სისწრაფით შესცვალა არა მარტო პეტერბურგის, არამედ მთელი რუსეთის პროლეტარიატის და გლეხკაცობის სულიერი განწყობილება რომანოვების ჯალათურ დინასტიისადმი და ერთბაშად ჩააყენა იგი (პროლეტარიატი) ნაძღვილ რევოლიუციურ—კლასიურ ბრძოლის კალაპოტში.—აი რა იყო ჩვენშიც რევოლიუციური მოძრაობის გამწვავების საბაბი.

ნიშნათ სასტიკი პროტესტისა გვირგვინოსან ჯალათის წინააღმდეგ და ღრმა აქტიურ თანაგრძნობისა პეტერბურგის პროლეტარიატისადმი, საქართველოს მუშათა კლასს და მასთან ერთად საქართველოს მთელ მშრომელ მოსახლეობას მოედო ალი მწყობრი მასიური გაფიცვადემონსტრაციებისა ინტერნაციონალურ დროშის ქვეშ.

ქართველი ხალხი თავიდანვე ჯერ „მესამე დასელების“ და შემდეგ სოციალ-დემოკრატიის მიერ აღზრდილ-გაწვრთნილი იყო პროლეტარულ ინტერნაციონალიზმის საფუძველზე, რომელიც ეუბნებოდა და ავალებდა მას: ძმურ კავშირს რუსეთის მშრომელებთან, მიმართულს რუსეთის და მთელი ქვეყნის ბურჟუა-კაპიტალისტების და ყოველგვარი დამჩაგვრელების წინააღმდეგ. „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“—ეს უკვდავი ლოზუნგი მარქს-ენგელსისა ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი ქართველ და საქართველოს მუშათა კლასს, რომელიც მეთაურობდა და ხელმძღვანელობდა ქართველ გლეხობას.

და როცა დაჰკრა წამმა ცარიზმზე, ამ „საერთაშორისო უანდარმზე“ გადამწყვეტი იერიშის მიტანისა, ქართველი ხალხი, როგორც ერთი, ფეხზე დადგა და იწყო გა-

შალებით მზადება თავგანწირული ბრძოლისათვის, რუსეთის პროლეტარიატთან ერთად მხარში ჩამდგარი.

რაში გამოიხატებოდა ეს ბრძოლა? საქართველოში არ დარჩენილა არც ერთი კუთხე-კუნჭული, არც სოფლად და მით უფრო—არც ქალაქად, სადაც მშრომელთა მასებს არ აემალლებიოთ პროტესტის ხმა და არ გაეჩაღებოთ ბრძოლა გაფიცვების, საბოტაჟის და ბოიკოტის სახით ადგილობრივი ჯალათების წინააღმდეგ. ეს იყო ეკონომიური ბრძოლა, მიმართული შრომის პირობების და ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ. ეს ბრძოლა თითქმის ყოველთვის გაფიცულების სრული გამარჯვებით თავდებოდა, რაც უფრო და უფრო აღვიძებდა მებრძოლთა რწმენა-იმედს შრომის საბოლოო განთავისუფლებას.

მაგრამ ეკონომიური ბრძოლის ძლევამოსილმა მიმდინარეობამ და განსაკუთრებით—„ცხრა იანვრის“ ამბებმა, სოციალ-დემოკრატიის მასიურ აგიტაციასთან ერთად, ცხადათ დაანახვა ხალხს,—სად არის უმთავრესი მტერი, „ცხრათავიანი მდევი“, რომლის გასრესა პირველყოვლისა აუცილებელია რევოლიუციის სრული და მკვიდრი გამარჯვებისათვის. გაღრმავდა, გაფართოვდა პოლიტიკური ბრძოლა, რომლის უმთავრესი ფორმები იყო მსოფლიო ისტორიაში ჯერ უნახავი პოლიტიკური გაფიცვები, მთელ რუსეთში, განსაკუთრებით პეტერბურგ-მოსკოვში. იმპერიის სხვა ნაწილებს გვერდში ამოუდგა მუშურ-გლეხური (უფრო სწორად გლეხურ-მუშური) საქართველოც; გრანდიოზული მიტინგ-დემონსტრაციები რევოლიუციური სიმღერებით და წარმტაცი წითელი ღროშებით, რომლებზედაც გამოკვეთილი იყო მომენტის ძირითადი ლოზუნგები: „ძირს თვითმპყრობელობა“, „გაუმარჯოს დემოკრა-

ტიულ რესპუბლიკას“, შეიარაღებული აჯანყება, წამოყენებული ბოლშევიკების მიერ, როგორც აუცილებელი საშუალება თვითმპყრობელობის დასანგრევად და დემოკრატიულ რეჟიმის საბოლოო გასამარჯვებლად.

ყოველ დღე მოდიოდა ამბები ომის ფრონტიდან პატარა იაპონიის მიერ უზარმაზარ რუსეთის იმპერიის სამარცხვინო დამარცხების შესახებ, რაც ზედმიწევნით ხელს უწყობდა შიგნით რევოლუციის იერიშების გაძლიერებას რომანოვების შერყეულ ტახტის წინააღმდეგ. გართულება და სამარცხვინო მდგომარეობა—გარეთ, აბოზოქრებული რევოლუცია შიგნით, ამით გამოწვეული ანარქია, დეზორგანიზაცია, მერყეობა, დაბნეულობა მეფის ხელისუფლების წრეებში,—აი რამ წაათამაშა, წაახალისა, გაიტაცა ხალხი და ჩაუნერგა გულში ღრმა რწმენა, რომ „თვითმპყრობელობის“ დღეები დათვლილია, მხოლოდ საჭიროა უკანასკნელი მაგარი „მიწოლა“—იერიში მის ძირდამპალ სიმაგრეებზე.

ქართველი ხალხის ძლიერი მხარეები „ხუთი“ წლის რევოლუციაში გამოიხატებოდა შემდეგში: მაღალი პოლიტიკური შეგნება, ნამდვილი ინტერნაციონალიზმი, ცეცხლოვანი ტემპერამენტი და ის, რომ მას მეთაურობდა მხოლოდ ერთად-ერთი პარტია (სხვა პარტია-ჯგუფებს თითქმის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა), თუმცა ორ ფრაქციით დაყოფილი.

თვითმპყრობელობის ადგილობრივი ჯალათები თავის მუშაობას იმით ასაზრდოებდნენ და აძლიერებდნენ, რომ საქართველო, სხვა ამიერ-კავკასიის კუთხეებთან ერთად, წარმოადგენდა ე. წ. „ოკრაინა“-ს, განაპირა კუთხეს, დასახლებულს „ტუზემცებით“, რომელთა მოძრაობა მონათლული იყო ადგილობრივი მთავრობის მიერ („ნამესტ-

ნიკი“) სეპარატიულ-ნაციონალისტურ-შოვინისტურ მოძრაობად, — რომელიც ვითომდა მიმართული იყო არათვითმპყრობელური რეჟიმის, არამედ **რუსების** წინააღმდეგ და საქართველოს სრული გამოყოფისაკენ. ამიტომ ხელისუფლებას ჩვენში ზედმეტი საბაზი და „საბუთი“ ეძლეოდა მეტი სიმკაცრით ჩაეჭრო ეს მოძრაობა.

რევოლიუციურ საქართველოსთან ბრძოლაში მთავრობას ჰქონდა კიდევ ერთი „კოზირი“; იგი ქადაგებდა, ყოველნაირად ხელს უწყობდა „ზოოლოგიური“ ნაციონალიზმის გაღვივებას და ჩხუბს მეზობელ „ტუზემცებს“ შორის. ეს მეთოდი პროვოკაციის განსაკუთრებით საჭირო გახდა ცარიზმისათვის პირველი დიდი რევოლიუციის დროს, რომელიც უქადდა მას აღგვას პირისაგან ქვეყნისა. ბრძოლის ამ მეთოდმა დიდი სარგებლობა მოუტანა მას ბაქოში, სადაც მრავალრიცხოვან პროლეტარიატის გმირულ ბრძოლას ფრთები შეაკვეცა სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტამ, რასაც თავის მხრივ ხელი შეუწყეს „დაშნაკებმა“ და თათრის ბეგ-ნაციონალისტებმა. საქართველოში კი, განსაკუთრებით თფილისში ამ პროვოკაციამ მთავრობისათვის სასურველი ნაყოფი ვერ გამოიღო, ვინაიდან ტფილისის პროლეტარიატი, რომელსაც მალლა ეჭირა რევოლიუციის და ინტერნაციონალიზმის დროშა ეროვნულ აჭრელებულ მოსახლეობაში, ავტორიტეტულად წინ გადაეღობა და ხელი შეუშალა სომეხ-თათართა შორის დიდ სისხლის ღვრას.

მთელი საქართველო იყო დაყოფილი ორ ბანაკად, რომელთა შორის ისტორიული დავა უნდა გადაეწყვიტა „იარაღის კრიტიკას“. კონტრ-რევოლიუციის უმთავრეს სიმაგრეს წარმოადგენდა თფილისი, სადაც ჟანდარმერიის, პოლიციის, „ოხრანკის“ და აუარებელ ჯაშუშ-პროვოკა-

ტორებს გარდა, მთავრობას მომარაგებული ჰყავდა ყაზახთა და „საიმედო“ სალდათთა რეზერვი, რომელიც ყოველ წამს მზად იყო სისხლში ჩაეხრჩო არა მხოლოდ რევოლიუციონერები, არამედ ყველა, ვისაც ოდნავ მაინც დასწამებდნენ მათ თანაგრძნობას, ხშირად სრულიად უდანაშაულონიც კი.

ტფილისის „29 აგვისტომ“ ჩვენში იგივე როლი (პატარა მასშტაბით) ითამაშა, როგორც პეტერბურგის „ცხრა იანვარმა“—მთელ რუსეთში. ამ ამბებმა (29 აგვისტო) ერთხელ კიდევ დაანახვა ქართველ ხალხს, თუ როგორ საუცხოვო ინსტრუმენტს წარმოადგენს „ყაზახობა“ თვითმპყრობელობის ხელში.

ტფილისი, როგორც ადმინისტრაციულ-სამხედრო ცენტრი მთელ კავკასიაში და „ნამესტნიკი“-ს რეზიდენცია, განსაკუთრებით გამაგრებული იყო კონტრ-რევოლიუციონური ძალებით, როგორც მაგ. ვარშავა და რიგა, სადაც ყოველ ჟამს მოსალოდნელი იყო რევოლიუციური იერიშები ძველ რეჟიმზე.

ტფილისის კონტრ-რევოლიუცია ტონს აძლევდა, ზურგს უმაგრებდა და მფარველობდა კონტრ-რევოლიუციას მთელს საქართველოში, უმთავრესად ქალაქებში; სოფლად, მაზრებში-კი, მეტადრე დასავლეთ საქართველოში, რევოლიუციურმა გლეხობამ მუსრი გაავლო ძველ რეჟიმის წარმომადგენლებს და გამოაცხადა დემოკრატიული წყობილება.

საქართველოში აქა-იქ, უფრო ჩამორჩენილ კუთხეებში, მთავრობის წაქეზებით და იმედით, ჩვენი მუქთახორა მემამულე თავად-აზნაურობა, რომელიც მთელი საუკუნეები იკვებებოდა გლეხის სისხლით და ნაოფლარით, შეეცადა „შავი რაზმის“ საშუალებით აგრარული რევოლიუ-

ციის ჩაქრობას, მაგრამ ამ უბადრუკ ცდას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა კონტრ-რევოლიუციის და რევოლიუციის ძალთა საერთო ჭიდილში.

1905 წ. რევოლიუცია ჩვენში დახასიათდება პროლეტარიატის და გლეხკაცობის მჭიდრო კავშირით და საერთო მტერთან ხელი-ხელ ჩაკიდებული ბრძოლით. მაგრამ ეს დაკავშირება მოხდა არა მხოლოდ რომელიმე პარტიის ან პარტიების („მესამე დასი“, სოციალ-დემოკრატია, მენშევიზმი-ბოლშევიზმი, ფედერალისტები, ესერები) ქადაგება-ზეგავლენით, არამედ უმთავრესად იმიტომ, რომ ჩვენი ქალაქი სოფელთან, პროლეტარი გლეხთან ათასი სოციალური ძაფით იყო გადაბმული, გადახლართული.

რევოლიუციური საქართველო, როგორც ვიცით, კვალდაკვალ მისდევდა რუსეთის პროლეტარიატის ბრძოლას. რევოლიუციური ბრძოლის მეთოდები და ტემპი იქ, პროლეტარულ ცენტრში, შესაფერ გამოძახილს პოულობდა ჩვენშიც. გაიმარჯვებდა იქ რევოლიუცია ცენტრალურ მთავრობაზე, გაიმარჯვებდა აქაც ადგილობრივ მთავრობაზე, დამარცხდებოდა იქ, დამარცხდებოდა აქაც.

რევოლიუციურმა ბრძოლამ როგორც რუსეთში, ისე ჩვენში მიაღწია უმწვერვალეს წერტილს ოქტომბერ-ნოემბერ-დეკემბერში. 17 ოქტომ. მანიფესტს რევოლიუციურმა საქართველომ შეხედა, როგორც ნიშანს მთავრობის წამოჩოქებისა რევოლიუციის წინაშე, რის გამოც ხალხის ზეიმს, აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა. ხალხს იმედი გაუათკეცდა საბოლოო გამარჯვებაზე. იგი გაგიჟებით დაეწაფა ბრძოლით მოპოვებულ თავისუფლებას. გაჩაღდა ათასეულ-ათიათასეული მიტინგები ქალაქად და სოფლად ცის ქვეშ, გაისმა მქუხარე ხმა ხალხის საყვარელ ოქროპირებისა. გახშირდა აღფრთოვანებული და მრისხანე

დემონსტრაციები. დარაზმულობა და შეიარაღება—ასეთი იყო მომენტის ყიჟინა.

დიდებული იყო ეს დღეები ჭეშმარიტად ხალხური რევოლიუციისა. ვისაც არ ჰქონია უდიდესი ბედნიერება მისი ნახვის, მასში მონაწილეობის მიღების, გაიხსენოს (წაკითხული) მე-17—18 საუკუნეებში ინგლის-საფრანგეთის დიდი რევოლიუციის წარმტაცი მომენტები. სამანიოვროდ გამოცემულ „მანიფესტს“, რომლის მზაკვრული მიზანი იყო რევოლიუციის დაქსაქსვა, დანაწილება, და მისი ავანგარდის (პეტერბურგ-მოსკოვის პროლეტარიატის) გარიყვა-განმარტოება, მალე მოჰყვა იაპონიასთან სამარცხვინო ზავის შეკვრა, ძალების თავის მოყრა და რევოლიუციასზე შეტევა. განმარტოებული პროლეტარიატი (რომელსაც „მანიფესტს“ შემდეგ ზურგი შეაქცია, ე. წ. „პროგრესიულმა“ ბურჟუაზიამ) განაგრძობს გმირულ ბრძოლას „სამ ვეშაპის“ (დემოკრატიული რესპუბლიკა, „პომეშჩიკების“ ექსპროპრიაცია და 8 ს. სამუშაო დღე) მოსაპოვებლად.

როცა პეტერბურგის პროლეტარიატი უთანასწორო ბრძოლაში სისხლიდან იწურებოდა, მოსკოვის გმირულმა პროლეტარიატმა შეიარაღებული აჯანყება გააჩაღა, რომლის ჩაქრობა შესძლო მხოლოდ პეტერბურგიდან სასწრაფოდ გამოგზავნილმა „საიმედო“ ჯარმა.

ეს ამბავი კი მეხივით გავარდა ჩვენში. რევოლიუციური ხალხი გაცოფებით დაეძებდა იარაღს. ეხლა ცხადზე უცხადესი იყო, რომ გაფიცვა-დემონსტრაციები არ კმარა, აუცილებელია შეიარაღებული აჯანყება „რევოლიუციის მონაპოვართა“ შესანარჩუნებლად და მტრის საბოლოოდ ჩასაქოლავად. მარა ამავე დროს მოსკოვიდან მოსული ამბები და ადგილობრივი მთავრობის საქციელი იმის მომასწავებელი იყო, რომ რუსეთის რევოლიუციის ცენ-

ტრში კონტრ-რევოლიუციამ გაიმარჯვა, რევოლიუცია სისხლში ჩაახრჩო, და დღეს თუ ხვალ იგივე ბედი მოელის საქართველოსაც. და მალე დადგა ეს წამიც: ჩვენი ქვეყანაც გახდა გამხეცებულ კონტრ-რევოლიუციონერების სათარეშო ასპარეზად ჯალათ გრიაზნოვების და ალიხანოვების მეთაურობით. ტფილისში პირველი იერიში მიიტანეს დიდებულ „ნაძალადევზე“, რომელიც სამართლიანად ითვლებოდა რევოლიუციის აკვნად, სიმაგრედ და გეგემონად.

განსაკუთრებით აწამეს და ააწიოკეს იმერეთი, ყველაზე უფრო ქუთაის-შორაპნის რაიონები, სადაც ადგილი ჰქონდა შეიარაღებულ ბრძოლას მთავრობის ჯართან, და გმირული გურია, რომელმაც მთელი წლის განმავლობაში იგემა „დემოკრატიული რესპუბლიკა“ და სახელი გაითქვა არა მარტო რუსეთში,—დასავლეთ ევროპაშიაც კი.

მრავალი ასეული საუკეთესო შვილი შესწირა პატარა საქართველომ 1905 წ. რევოლიუციას. გმირული სიკვდილი ბრძოლის ველზე და სახრჩობელებზე, განაწამები სიცოცხლე-სიკვდილი ციხე-კატორღაში და გაყინულ ციმბირში—აი მათი ხვედრი. რუსეთის გმირული პროლეტარიატის მსხვერპლი ხომ აუარებელი იყო.

მაგრამ დიდმა მსხვერპლმა დიდი ნაყოფიც გამოიღო: პირველმა დიდმა რევოლიუციამ მოგვცა თებერვალ-მარტის რევოლიუცია და **ოქტომბერი**, რომელიც უეჭველად მიგვიყვანს **მსოფლიო ოქტომბრამდე**.

დღეს, „ხუთის“ ოცი წლის თავზე, ჩვენ, „ძველი გვარდია“, მუხლმოდრეკით ვიგონებთ გმირულად დაღუპულ თანამებრძოლთ და ახალთაობას ვუყვივით: განაგრძეთ ბრძოლა ჩვენი (მარქს-ლენინის) გზით, მაგრამ ჩვენზე უკეთ. მხოლოდ ამ გზით შეიძლება კომუნიზმის სამეფოში გადასვლა.

## ფრაქციული ბრძოლა საქართველოში 1905 წ.

ფრაქციული ბრძოლა მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის რუსეთთან შედარებით ჩვენში გვიან დაიწყო. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ დაგვიანებაში უმთავრეს როლს თამაშობდა მაშინდელი **საოლქო კომიტეტის** (ბოლშევიკურის) ერთნაირი ტაქტიკური მოსაზრება, სახელდობრ: ჯერ-ჯერობით ზედმეტად და მავნებლად მიაჩნდათ საზღვარგარეთ და რუსეთში კაი ხნით ადრე დაწყებულ-გაძლიერებული ფრაქციული ბრძოლის საქართველოს პარტიულ მასაში გადატანა. დღეს, რასაკვირველია, ადვილია მაშინდელ ხელმძღვანელ ბოლშევიკების მიერ გადადგმული ამა თუ იმ ტაქტიკურ-ორგანიზაციულ ნაბიჯების კრიტიკა, მაგრამ ეს აუცილებელია, ვინაიდან იგი (წარსულის კრიტიკა ან თვითკრიტიკა) მომავლის გზა და ხილია. ჩვენის აზრით „საკავშირო კომიტეტის“ ეს ნაბიჯი შემცდარი გამოდგა, ვინაიდან ხელი შეუწყო მუშურ-გლეხური მასების ბოლშევიკებისაგან „მოულოდნელად“ და ერთბაშად ჩამოშორებას და მენშევიკებისაკენ გადასვლას.

მთელი 1905 წ. განმავლობაში რევოლიუციური მოძრაობის გაძლიერებასთან ერთად თანდათან ვითარდებოდა და მწვავედებოდა ფრაქციული ბრძოლაც სოციალ-დემოკრატიის ორ ფრთას შორის, რომლებიც ედავებოდნენ ერთმანეთს საქართველოს ხალხზე ხელმძღვანელობის და გეგემონიის მოსაპოვებლად. შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკულათ (არა პრესაში) ფრაქციული ბრძოლა ჩვენში უფ-

რო მწვავე იყო, ვიდრე რუსეთში. ეს აიხსნება უმთავრესად (ტემპერამენტზე არ ვლაპარაკობთ) იმ გარემოებით, რომ რევოლუციას აქ უფრო მასიური ხასიათი ჰქონდა და მის ერთად ერთ მეთაურს მხოლოდ ერთი პოლიტიკური პარტია—სოციალ-დემოკრატია წარმოადგენდა.

სადავო კითხვები იყო ორგვარი: საორგანიზაციო და ტაქტიკური. მენშევიკური პოზიცია საორგანიზაციო სფეროში შეიძლება მოკლეთ გამოიხატოს ორი სიტყვით: „ზევიდან თუ ქვევიდან“. ეს იყო დავა: პარტიის წევრობის, დემოკრატიზმის და ცენტრალიზმის შესახებ. მენშევიკური სქემის დედა-აზრი იყო: რაც შეიძლება მეტი უფლება და ნაკლები მოვალეობა პარტიის წევრს, რაც შეიძლება მეტი დემოკრატიზმი ხელმძღვანელ ორგანოების არჩევნების საქმეში, რაც შეიძლება ნაკლები ცენტრალიზმი და მეტი ავტონომია ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების უფლება-მოქმედების სფეროში.

ბოლშევიზმი კი იცავდა ისეთ საორგანიზაციო სქემას, რომელიც მოგვცემდა ფოლადისებურ ორგანიზაციას თავის მცირერიცხოვანი, მაგრამ კარგი შემადგენლობით, ცენტრალიზმით და ურყევი დისციპლინით. ბოლშევიზმის აზრით მხოლოდ ასეთი ორგანიზაცია, რომელსაც უხდება მუშაობა უძნელეს პირობებში, „სარდაფს ქვეშ“, ორგანიზაცია ე. წ. „პროფესიონალურ რევოლუციონერების“, შესძლებს უდიდესი ისტორიული მისიის შესრულებას—რევოლუციური მასების გეგემონობას, თვითმპყრობელობის დანგრევას და რევოლუციის ბოლომდე მიყვანას. ამისათვის საჭირო და აუცილებელია: პარტიის მომავალი წევრების სასტიკი გაცხრილვა-გადარჩევა, მათზე რაც შეიძლება მეტი მოვალეობის დაკისრება, მაქსიმალური კონსპირაცია, რაც შეიძლება ნაკლები თამაში „დემოკრატი-

ზმთან“, რაც შეიძლება მეტი ცენტრალიზმი და მაგარი დისციპლინა.

ამ ორ საორგანიზაციო ფორმულაში გამოიხატება მენშევიზმის ოპორტუნისტული და ბოლშევიზმის რევოლუციური ხასიათი; აქ აშკარად ჩანს ის, რომ ერთი ქმნის რეფორმებისათვის მებრძოლ, მეორე კი—ძალა-უფლებებისათვის მებრძოლ პარტიას. მაგრამ მენშევიკური სქემა დახასიათდება კიდევ ერთი რამით—იგი უაღრესათ დემაგოგიურია, რითაც შესანიშნავად სარგებლობდნენ მენშევიკები ჩვენთან ბრძოლაში.

ბევრად უფრო მწვავე ხასიათი ჰქონდა ფრაქციულ ბრძოლას ჩვენში ტაქტიკურ სფეროში. და ეს გასაგებობა, ვინაიდან რევოლუციის გამარჯვება-დამარცხება (თანაბარ ობიექტიურ პირობებში) ამა თუ იმ ტაქტიკასტრატეგიაზეა დამოკიდებული: სწორი ტაქტიკით რევოლუცია გაიმარჯვებს, შემცდარი ტაქტიკა—დამარცხების საწინდარია.

ორივე ფრთისათვის უდავო ფაქტი იყო ის, რომ 1905 წ. „ცხრა იანვრიდან“ რუსეთში დაიწყო დიდი რევოლუცია, რომელიც მიიღტვოდა მეფის თვითმპყრობელობის შეცვლისაკენ ბურჟუაზიული რეჟიმით, ე. ი. ორივე ფრაქცია იზიარებდა იმ აზრს (ამჟამად არ ვეხებით **ტროცკი-პარვუსის** განსაკუთრებულ შეხედულებას), რომ ძღვევამოსილი რევოლუცია დემოკრატიულ რესპუბლიკას მოგვცემსო.

მაგრამ სადავო იყო ძირითადი კითხვები: როგორ, რა გზით, რა საშუალებით მიაღწევს რევოლუცია საბოლოო გამარჯვებას. ბოლშევიზმის პოზიცია მოკლეთ შემდეგში გამოხატებოდა: მართალია, რევოლუცია შინაარსით ბურჟუაზიულია, მაგრამ მისი უმთავრესი მამოძრავებელი

ძალა პროლეტარიატი და გლეხობა, ორი მშრომელი და  
 გაყვლეფილი კლასი, რომლებსაც მხოლოდ შეუძლიათ მი-  
 სი საბოლოო გამარჯვებამდე მიყვანა, წინააღმდეგ ბურ-  
 ჟუაზიისა. დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელსაც მოგვ-  
 ცემს გამარჯვებული რევოლიუცია, წარმოადგენს ისეთ  
 წყობილებას, რომელიც მუშათა კლასს გაუშლის კლასთა  
 ბრძოლის ფართო ასპარეზს სოციალიზმის დასამყარე-  
 ბლათ. ამიტომ ბურჟუაზია თავის კლასობრივ ინტერე-  
 სების მიხედვით წინააღმდეგია რევოლიუციის ბოლომდე  
 გამარჯვების, იგი შეეცდება თვითმპყრობელობასთან და  
 „კომეშიკებთან“ შეთანხმებით შეაჩეროს რევოლიუცია  
 შუა გზაზე და შექმნას კონსტიტუციური მონარქია, რო-  
 მელიც „სამუდამოდ“ უზრუნველჰყოფს მის ბატონობას.  
 რევოლიუცია გაიმარჯვებს მხოლოდ მაშინ, თუ მისი გე-  
 გემონი (მეთაური) იქნება პროლეტარიატი და მისი ავან-  
 გარდი—რევოლიუციური სოციალ-დემოკრატია. რევო-  
 ლიუციური ბრძოლის უმწვერვალეს ფორმას წარმოადგენს  
 დარაზმული მშრომელთა მასების შეიარაღებული აჯან-  
 ყება, რომელიც აუცილებელი პირობაა რევოლიუციის  
 სრული გამარჯვებისათვის. თვითმპყრობელობის დამხო-  
 ბის მომენტში უნდა შედგეს დროებითი რევოლიუციური  
 მთავრობა, რევოლიუციური სოციალ-დემოკრატიის მე-  
 თაურობით, რომელმაც უნდა განახორციელოს მუშათა  
 და გლეხთა დემოკრატიული დიქტატურა-ფეოდალიზმ-  
 ბუროკრატიზმის ძირფესვიანათ ამოსაფხვრელად, მიწის  
 კონფისკაციის და სამუშაო დღის დეკრეტების გამოსაცე-  
 მად და სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების მოსა-  
 წვევად „ოთხწევრიან ფორმულის“ საფუძველზე.

ასეთი იყო მზესავით ნათელი და მარქსისტულად დასაბუთებული ტაქტიკური ხაზი, რომელიც მოგვცა მაშინ ლენინის გენიამ.

ამას დაუპირდაპირდა მარტოვ-აქსელროდის ტაქტიკა, შემდეგში გამოხატული: ვინაიდან რევოლიუცია ბურჟუაზიულია, მისი მეთაური ბურჟუაზია უნდა იყოს, რომლის ხელშიაც თვითმპყრობელობის დანგრევის შემდეგ გადადის სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება. რევოლიუციის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ: ბურჟუაზია, პროლეტარიატი, რევოლიუციურ-ოპოზიციური ინტელიგენცია, მეშხანობა. პროლეტარიატის ბრძოლის მეთოდებია: გაფიცვები, დემონსტრაციები, მანიფესტაციები, რევოლიუციური მოთხოვნილებების წამოყენება, ბურჟუაზიის „ჩათრევა“ ბრძოლაში, მისი პროლეტარული მუჯღლუფუნით „გამემარცხენება“, თვითმპყრობელობაზე „ქვევიდან მიწოლა“. და როცა იგი იძულებული გახდება დათმობაზე წავიდეს, თუ გინდ „ბულიგინის დუმის“ ბოძებით, საარჩევნო კამპანიის გაჩაღება. მეფის ნაბოძვარ „პარლამენტში“-კი სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ უნდა ითამაშოს „უკიდურესი ოპოზიციის“ როლი. პროლეტარიატი ვერ იკისრებს რევოლიუციაში მთავარი სიმძიმის ატანას და ვერ (ან—არ) გაიღებს ყველაზე მეტ მსხვერპლს, ვინაიდან ეს არ არის მისი რევოლიუცია, რომლის ნაყოფს, სულ ერთია, ბურჟუაზია დაეპატრონება. ამიტომ პროლეტარიატის ტაქტიკური სიბრძნე იმაში უნდა გამოიხატოს, რომ რაც შეიძლება მეტი მსხვერპლი გააღებინოს ბურჟუაზიას მის საკუთარ რევოლიუციაში და თვითონ კი დაიცვას თავის „წმინდა კლასიური ინტერესები“. შეიარაღებული აჯანყების აუცილებლობას მენშევიზმი ვერ წამოაყენებს, ვინაიდან შესაძლებელია რევოლიუციამ უამისოდაც გაი-

მარჯვოს. შეიძლება სტიქიურათ იფეთქოს აჯანყებამ, მაშინ პარტია ძალა-უნებურად ჩაერევა შიგ. მაგრამ არა იმიტომ, რომ გააღრმავოს და გაამწვავოს იგი, არამედ მისდა შესანელებლად და დასაცხრომად. პროლეტარიატი და მისი პარტია, რომელიც მიიღტვის სოციალიზმისკენ, ვერ მიიღებს მონაწილეობას დროებით რევოლიუციურ მთავრობაში, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ბურჟუაზიული სახელმწიფოს ჩამოყალიბება-განმტკიცებას. რევოლიუციის უდიდესი მამოძრავებელი ძალა, ათეულ მილიონიანი რუსეთის გლეხკაცობა, რომელიც ასეული წლების განმავლობაში საშინლად გმინავდა მემამულეების და თვით-მპყრობელობის რკინის უღელ-ქვეშ და რომლის დარაზმული მონაწილეობა რევოლიუციაში უეჭველი გარანტია იყო მისი სრული გამარჯვების, მენშევიზმმა შესაფერისად ვერ შეაფასა და გააცხადა: რევოლიუციისათვის მეტი მნიშვნელობა აქვს ბურჟუაზიას, ვიდრე ჩამორჩენილ და დაბეჩავებულ გლეხობას და, მაშასადამე, პროლეტარიატს უფრო მეტი საერთო აქვს ბურჟუაზიასთან, რომელთანაც შეთანხმებულად უნდა მოქმედებდესო.

სწორი მარქსისტული ფორმულა — „ცალ-ცალკე სვლა და ერთად დარტყმა“ — მენშევიზმმა ოპორტუნისტულად გააყალბა, ვინაიდან რევოლიუციაში ბურჟუაზიის გეგემონიის როლის მიკუთვნებით პროლეტარიატი გადააქცია რევოლიუციის მხოლოდ იარაღად, მაჩანჩალად და „ზარბაზნის ხორცად“. ამ ფორმულის მენშევიკურად გაგების თანახმად პროლეტარიატს რევოლიუციაში უნდა დაეცვა „წმინდა“ კლასიური ინტერესები, მაგრამ იმ პირობით, რომ ბრძოლა არ წასულიყო ძალიან შორს, არ გადასცილებოდა იმ საზღვარ-ფარგლებს, რომლებიც ბურჟუაზიამ დაუდო რევოლიუციას. პროლეტარიატს ~~არ~~

ლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ უნდა ეწარმოებინა ისე და იმდენად, როგორც და რამდენადაც ეს სოლიდარული, შეთანხმებული და მისაღები იქნებოდა ბურჟუაზიის მიერ. და რადგანაც ბურჟუაზიას თავის კლასობრივი ინტერესების მიხედვით რევოლიუციის ბოლომდე მიყვანა არ სურდა, უნდო დაიგი შუა გზაზე შეეჩერებინა, მენშევიზმი ამ „შეკვეცილი“ რევოლიუციის მებაირახტრედ გამოდიოდა.

ლენინი მენშევიზმს „ხვოსტიზმს“ უწოდებდა, ვინაიდან იგი დასტურაც კუდში მისდევდა რევოლიუციის აბოზოქრებულ სტიქიონს, ბურჟუაზიას; მენშევიზმი კი არ ხელმძღვანელობდა რევოლიუციას და რევოლიუციურ მასებს, არამედ რევოლიუცია და მასები ყურით (თუ კუდით) მიათრევდენ მას და აიძულებდენ ცუდათ თუ კარგათ (უფრო კი—ცუდათ) გაეწია ხელმძღვანელობა და მეთაურობა. ეს იმ დროს, როცა ბოლშევიზმი ღრმა რწმენით წინ მიუძღოდა რევოლიუციას და თავის მკვეთრი და ცეცხლოვანი ლოზუნგებით უმაღლეს წჭრტილამდე აჰყავდა ხალხის რევოლიუციური შემოქმედება.

ასეთი იყო 1905 წ. ორი ტაქტიკა, მენშევიკური და ბოლშევიკური, რევოლიუციური და ოპორტუნისტული. ს. დ. ორივე ფრთა, მემარჯვენე და მემარცხენე, ემყარებოდა მარქსიზმის თავისებურათ გაგებაზე, ორივე განცხარებით ასაბუთებდა თავიანთი შეხედულებებს მარქსიზმზე მითითებით, ორივეს მარქსიზმი მიაჩნდა დაუშრეტელ წყაროთ და უდავო ავტორიტეტათ. მაგრამ სინამდვილემ, პირველი რევოლიუციის ისტორიამ დაამტკიცა, რომ ბოლშევიზმმა ზედმიწევნით შეისისხლხორცა მარქსისტული მოძღვრების მუდამ მჩქეფარე რევოლიუციური სული. მენშევიზმმა კი „დაიხეპირა“ მარქსიზმი, როგორც მკვდარი—

გაყინული დოგმა. ამით აიხსნება ის, რომ ბოლშევიზმმა 1905 წ. რევოლუციის გასამარჯვებლად გააკეთა მაქსიმუმი იმის, რის გაკეთებაც მას შეეძლო. მენშევიზმმა კი იმ მომენტში, როცა რევოლუცია გადავიდა შეიარაღებულ აჯანყების ფაზაში, როცა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ბარიკადებზე უნდა გადაეწყვიტა მისი ბედი, თავის ორჭოფობა-მერყეობით ხელშემშლელი როლი ითამაშა.

ქართული მენშევიზმი, როგორც რუსული მენშევიზმის პირმშო შვილი, საერთოდ იმ ორგანიზაციულ-ტაქტიკურ ნიადაგზე იდგა, როგორც მისი წარმომშობი, თუმცა ადგილობრივი პირობების მიხედვით ზოგიერთ რამეში განსხვავდებოდა მისგან. ეს პირობები იყო ისტორია, გეოგრაფია, საქართველოს ე. წ. „ოკრაინული“ მდგომარეობა, ტფილისის (როგორც რევოლუციის ცენტრის) ეროვნული სიჭრელე და ის გარემოება, რომ ეს ქალაქი წარმოადგენდა მთელი კავკასიის ადმინისტრაციულ სამხედრო ცენტრს, სადაც მეფის მთავრობას მომარაგებულნი ჰყავდა დიდი კონტრ-რევოლუციური ძალები ყაზახების და „საიმედო“ სალდათების, პოლიცია-ჟანდარმერიის და სხ. სახით; საქართველოს მუშების და გლეხების პოლიტიკური შეგნების შედარებით მაღალი დონე და მისი დარაზმულობა ერთი პარტიის—სოციალ-დემოკრატიის დროშის გარშემო და სხ. ჩვენებურ სოციალ-დემოკრატიაში კი, როგორც ითქვა, გაბატონებული იყო მენშევიზმი, რომელიც ჩამოთვლილ პირობების გამო პრაქტიკულად უფრო მემარცხენე იყო რუსულზე, თუმცა იგიც ისე გაჟღენთილი იყო ოპორტუნიზმ-რეფორმიზმის სულით, როგორც მეორე. მაგრამ ამავე დროს უნდა ითქვას, რომ ზემოთ დასახელებულ ობიექტიურ პირობების („ოკრაინა“ და ეროვნული სიჭრელე) გამო, რაც ხელს უშლიდა

ბოლშევიზმსაც, ქართულმა მენშევიზმმა ვერ გამოიჩინა ის მინიმალური, ასე ვთქვათ, ოპორტუნისტული რევოლუციონერობაც კი, რასაც ის შესძლებდა (თუ რევოლუციური ხალხი შეაძლებინებდა) ამ პირობების გარეშე.

ქართული ბოლშევიზმი—კი უფრო სუსტი იყო თავის წარმომშობზე, მეტადრე ორგანიზაციულ სფეროში; მუშურ-გლეხურ (მეტადრე გლეხურ) მასებზე გავლენის მხრით.

საკითხი შეიარაღებულ აჯანყების შესახებ ყველაზე უფრო აქტუალური იყო ჩვენშიაც. მთელი წლის განმავლობაში, დაწყებული „ცხრა იანვრიდან“, კითხვა აჯანყების შესახებ თანდათან მეტი სიმწვავეით, სიცხადით და აუცილებლობით ისმებოდა რევოლუციის დღის წესრიგში.

კერძოთ საქართველოში ეს კითხვა მთელი თავისი სიგრძე-სიგანით წარმოშვა „29 აგვისტოს“ შიშველმა ფაქტმა, რომელსაც მენშევიკ-ბელადებისათვისაც აშკარად უნდა დაენახვებინა, რომ უიარალო დემონსტრაციებმა და ლიბერალურ ბანკეტებში მასების ჩარევამ, „პროგრესიული“ ბურჟუაზიის „გამემარცხენების“ ცდამ პროლეტარული მუჯღუფუნის საშუალებით (როგორც ამას „ახალი“ „ისკრა“ ურჩევდა თავის სამწყსოს), უკვე დრო მოჰყვამა. შეიარაღებული აჯანყების აუცილებლობა ცხადი უნდა ყოფილიყო მენშევიკებისათვისაც კი არა მხოლოდ იმიტომ, რომ ამას, ასე ვთქვათ, თეორეტიულათ ასაბუთებდა ბოლშევიზმი, არამედ უმთავრესად იმიტომ, რომ რევოლუციის და თვითმპყრობელობის, მშრომელი მასების და გაბატონებული კლასების ერთმანეთთან შეურიგებელი დაპირდაპირება-ჭიდილი თვით პრაქტიკაში, აბოზო-

ქრებულ ცხოვრების პროცესში ზედმიწევნით ნათელი იყო.

ჩვენებური მენშევიზმის პოზიცია (როგორც რუსეთის) იყო ერთობ ზუნდოვანი, გაურკვეველი, ორჭოფული, მერყევი. კიცი და არაც, აჯანყება შეიძლება მოხდეს, შეიძლება არც დარჩეს აუცილებელი, მთავრობა შეიძლება დათმობაზე წავიდეს და მაშინ ხომ „კონსტიტუცია და ძარღამენტი“ ხელთ არის, და თუ „გაჯიუტდა“, მაშინ კიდევ „მიწოლა“ საჭირო „წმინდა“ პროლეტარული საშუალებით. ასეთი ნახევრათ-რევოლიუციური და ნახევრათ-რეფორმისტული ოპორტუნიზმი გზას კი არ უკაფავდა და უნათებდა მებრძოლ ხალხს, არამედ პირიქით—ხელს უშლიდა და ბორკავდა მის რევოლიუციურ შემოქმედება-აღმაფრენას.

რომ მენშევიზმის პოზიცია წმინდა ოპორტუნისტული ყოფილიყო, წმინდა რეფორმისტული, რომელიც იტყოდა აშკარად: არა რევოლიუცია, არა შეიარაღებული აჯანყება, არამედ რეფორმები და ბრძოლა მხოლოდ ლეგალურ ან ნახევრათ-ლეგალურ პირობებში ბურჟუაზიასთან ერთად,—საქმისათვის ბევრათ უკეთესი იქნებოდა. ვინაიდან რევოლიუციური სულისკვეთებით გაქლენთილი ქართველი ხალხი, რომელიც ინსტინქტიურად გრძნობდა შეიარაღებულ ბრძოლის აუცილებლობას და გაცოფებით ეძებდა იარაღს, უფრო იოლად გაერკვეოდა ფრაქციულ უთანხმოებაში და დადგებოდა ბოლშევიზმის დროშის ქვეშ.

მაგრამ ჩვენებური მენშევიკები ჩაყენებული იყვნენ (ან და თავი ჩაიყენეს) ისეთ მდგომარეობაში, რომ მას არც შეეძლო ორჭოფული, ორ სკამზე მჯდომი, მერყევი არ ყოფილიყო: როგორც ითქვა, ჩვენი მენშევიზმის დროშის

ქვეშ დარაზმული იყო ქართველი ხალხის დიდი უმრავლესობა, რომელიც მიიღებოდა შეიარაღებული აჯანყებისაკენ, მოითხოვდა იარაღს და მისი ხმარების შესწავლას, მოითხოვდა ნამდვილ რევოლუციურ ხელმძღვანელობას თავის პარტიისაგან, მაგრამ მას, როგორც ასეთს, არ შეეძლო ეთამაშნა ისტორიის მიერ მაზე ამოდ დაკისრებული რევოლუციური გეგემონის როლი.

17 ოქტომბრის მანიფესტი, რომელიც იყო მზაკვრული მანიფესტი მებრძოლ პროლეტარიატის გასათიშავად, ბურჟუაზიის მისამხრობად და რევოლუციის გასასრესად, ბოლშევიზმმა (ჩვენშიაც ისე, როგორც რუსეთში) გაიგო და შეაფასა სისწორით. მან მოუწოდა ხალხს კიდევ მეტი თავგანწირული ბრძოლისაკენ თვითმპყრობელობის სავსებით გასასრესად და რევოლუციის სრულ გამარჯვებამდე მისაყვანად.

მენშევიკებმა კი დაჰკრეს დაფსა და ნალარას და გადასწყვიტეს: ამიერიდან დადგა ხანა, როცა განახლებული რეჟიმის, ვიტტეს კონსტიტუციური მონარქიზმის საფუძველზე პროლეტარიატი განაგრძობს ბრძოლას რევოლუციის „მონაპოვართა“ დასაცავად „პარლამენტში“ ბრძოლით და საარჩევნო კამპანიების—ამ მენშევიკურ სტიქიონის—გაჩაღებით.

მაგრამ მენშევიკების სიხარულს მალე ფრთები შეუკვეცა თვითმპყრობელობის გამძვინვარებულმა იერიშებმა რევოლუციის და პროლეტარიატის წინააღმდეგ. ამის შემდეგ ბრძოლა კი უნდა დაენახა, რომ აჯანყების გარეშე შეუძლებელია არა თუ რევოლუციის ბოლომდე მიყვანა, არამედ მის მონაპოვართა დაცვა-კი.

მაგრამ ამოდ: ოპორტუნიზმი დარჩა ოპორტუნიზმად. იმ დროს, როცა რუსეთის პროლეტარიატის მებრძოლი

ავანგარდი სისხლიდან იწურებოდა წელმომავრებულ თვითმპყრობელობასთან სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, იმ დროს, როცა მოსკოვის გმირული პროლეტარიატი ბარიკადული ბრძოლით სწყვეტდა კითხვას ძველი და ახალი რუსეთის ყოფნა-არყოფნის შესახებ, იმ დროს, როცა საქართველოს მშრომელი ხალხი მზად იყო მტლად დასდებოდა რევოლიუციას რუსეთის პროლეტარიათან ერთად, ჩვენებურმა მენშევიკებმაც (მსგავსათ რუსეთისა) სამარცხვინო მერყეობა გამოიჩინეს.

მათი „საქმიანობა“ მხოლოდ იმაში გამოიხატა, რომ რამენაირად შეეკავებინათ ხალხი „უდროო და სახიფათო“ გამოსვლებისაგან, სანამ ნამდვილ ამბავს არ გაიგებდენ აჯანყების გამარჯვება-დამარცხების შესახებ. თუ ცენტრიდან მოვიდოდა ნამდვილი ცნობა რევოლიუციის გამარჯვების შესახებ, ჩვენი მენშევიკები დაფაფხურდებოდნენ, მაგრამ არა იმისათვის, რომ იმწამსვე ხელი მიეყოთ ადგილობრივი კონტრ-რევოლიუციის განიარაღებისათვის და რევოლიუციური ხალხის შეიარაღებისათვის, არამედ იმისათვის, რომ (როგორც ეს მათ მოიქმედეს თებერვალ-მარტის რევოლიუციის დროს) ძალა-უფლება რამენაირად უსისხლოთ ჩაებარებინათ და ძველი რეჟიმის აგენტ-ჯალათებისათვის გზა ხსნილი მიეცათ ჩუმათ გაპარვის და ხალხის რისხვის თავიდან აცილების.

და როცა მოვიდა ამბავი მოსკოვის აჯანყების დამარცხების და პროლეტარიატის სისხლში ჩახრჩობის შესახებ, მენშევიკებმა ხალხს მოუწოდეს დამორჩილებოდნენ და იარაღი დაეყარათ, თუმცა არა ყოველგან საქართველოში იგი გაჰყვა მათ ნაჩვენებ გზას და განაგრძო ბრძოლა იარაღით ხელში.

ქართული მენშევიზმის დასახასიათებლად სამაგალითო ილიუსტრაციას წარმოადგენს „ნამესტნიკის“ მიერ მენშევიკურ ბელადებისათვის იარაღის ჩაბარება ნოემბერში ვითომდა სომეხ-თათართა ჟღეტის თავიდან ასაცილებლად. რით აიხსნება ასეთი ნდობა, ასეთი იდილიური განწყობილება ჟორდანია-რამიშვილებსა და მეფის მოადგილეს შორის? ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ადგილობრივი მთავრობა ქართველ მენშევიკებს ისეთ უმნიშვნელო, უსუსურ და „მოშინაურებულ“ ძალათ სთვლიდა, რომ 500 ბერდანკით მათ შეიარაღებაში არავითარ საფრთხეს არ ხედავდა. მეფის კონტრ-რევოლიუციასაც კარგად ესმოდა მენშევიკური ოპორტუნისმის ნამდვილი ფასი, მან იცოდა, რომ მენშევიკები წინააღმდეგი არიან ძალა-უფლების შეიარაღებული აჯანყებით ხელში ჩაგდების, იცოდა კარგათ, რომ ამ ნიადაგზე რუსეთში და საქართველოში დიდი შეხლა-შემოხლაა ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის, იცოდა ისიც, რომ ქართველი ხალხი უმეტესად დარაზმულია მენშევიკური დროშის ქვეშ.

მიუხედავად იმისა, რომ მენშევიზმი ბატონობდა იმ დროს საქართველოში, რევოლიუციური ხალხი ზოგჯერ ინსტიქტიურად და ზოგჯერ ბოლშევიკების ზეგავლენით მიიღწვოდა შეიარაღებული აჯანყებისაკენ. რევოლიუციურმა საქართველომ იცის ასეთი ბრძოლის რამდენიმე შემთხვევა:

შედარებით მცირერიცხოვანმა წითელმა რაზმებმა ბოლშევიკების ინიციატივა-მეთაურობით გაბედული და მოხერხებული თავდასხმით სრულიად განაიარაღეს რეგულარული ჯარის ნაწილები და ადმინისტრაცია მთელ შორაპნის მაზრაში.

რევოლიუციურ გურიაში პლასტუნებთან შეიარაღებული შეჯახება **ნასაკირალზე** თვით ხალხის საქმე იყო. აქაც არ შეიძლება გავლენა არ ჰქონოდა გაცხარებულ ბოლშევიკურ აგიტაციას შეიარაღებულ აჯანყების სასარგებლოდ, თუმცა ჩვენ მაშინ რუსეთის ბოლშევიზმის თანახმად ნაწილობრივი, განცალკევებული აჯანყების მაგიერ ვქადაგობდით ერთდროულ შეიარაღებულ აჯანყებას მთელ რუსეთში.

დღეშეთში ხალხის სტიქიური შეჯახება აგრარულ ნიადაგზე ჯალათი მუხრანსკის მამულის დასაცავად გამოწვეულ სალდათ-კაზაკებთან, რასაც დიდი მსხვერპლი მოჰყვა ხალხის მხრით, ამტკიცებს იმას, რომ რევოლიუციური დღეშეთი ისე, როგორც მთელი ქართველი ხალხი, სრულიად მოკლებული იყო რევოლიუციურ ხელმძღვანელობას მენშევიკური „გეგემონიის“ დროს თვით მენშევიკებელადების მხრით. \*)

საქართველოში მენშევიზმის გაბატონების ერთი მიზეზთაგანი უნდა ვეძიოთ ფრაქციული ბრძოლის იმ მეთოდში, რომელსაც მიმართავდა იგი ჩვენთან დისკუსიის დროს. ეს იყო შიშველი დემაგოგია და ცილისწამება. პირველს დიდი გასავალი ჰქონდა განსაკუთრებით ორგანიზაციულ სფეროში, რასაც ხელს უწყობდა, როგორც შემოთ ალენიშნეთ, თვით მენშევიკური საორგანიზაციო ფორმულა; მეორეს უმთავრესად—ტაქტიკურში.

ბოლშევიკები უნდობლად უყურებენ მუშებს და გლეხებს, ბოლშევიკები ბლანკისტები და ავანტიურისტე-

\*) აქვე უნდა ხაზი გაუსვათ იმ მრავალ ტერორისტულ აქტებს და პარტიზანულ თავდასხმებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა მეტადრე—თფილისში და გურიაში 1905 წ. და რომლებსაც დიდძალი ნამდვილი ხალხური გმირი შეეწირა.

ბია, რომელთაც ფეხებზე ჰკიდიათ ხალხის სიცოცხლე,—  
 აი რით ჰკვებავდა მენშევიზმი ხალხს გამწვავებული დის-  
 კუსიის დროს.

ქართული ბოლშევიზმი, გატაცებულ-გამსჭვალული  
 პროლეტარული სოციალიზმის იდეებით, მედგრად იგე-  
 რიებდა დემაგოგიურ იერიშებს და თვითონ გადადიოდა  
 მკაცრ შეტევაზე რევოლიუციის კრიტიკულ მომენტებში.

რამდენად ძლიერი იყო ჩვენებური მენშევიზმის ნი-  
 ჭი-უნარი მასების დაპყრობა-დარაზმვაში, იმდენად უსუ-  
 სური და უილაჯო იყო იგი რევოლიუციური ხალხის რო-  
 მანოვების ბასტილიაზე საიერიშოდ წაყვანაში.

რამდენად სუსტი იყო ქართველი ბოლშევიზმი მა-  
 სების დაპყრობა-დარაზმვის საქმეში ან და—დაპყრობილი  
 მასების შენარჩუნებაში, იმდენად შეუპოვარი და თავ-  
 დადებული იყო იგი რევოლიუციურ ბრძოლაში ძალაუ-  
 ფლების დასაპყრობად.

მრავალი ნაკლი ჰქონდა ქართულ მენშევიზმს ოცი  
 წლის წინეთ, დიდი რევოლიუციის ხანაში, მაგრამ ერთი  
 უეჭველია: იგი მშრომელი ხალხის სიყვარულით, ინტერ-  
 ნაციონალიზმით და სოციალისტური იდეალებით იყო გაჟ-  
 ლენთილი. და მას, როგორც ასეთს, არაფერი აქვს საერთო  
 ამ მხრით 1917—25 წ. წ. ქართულ მენშევიზმთან, რომე-  
 ლიც ცეცხლით და მახვილით, იმპერიალიზმთან ხელიხელ-  
 ჩაკიდებული, ებრძვის ოქტომბრის რევოლიუციას.

დღევანდელი ბოლშევიზმი—ლენინიზმი, როგორც  
 პირდაპირი გაგრძელება წარსული ბოლშევიზმის, საერთა-  
 შორისო იმპერიალიზმის და მენშევიზმის წინააღმდეგ გმი-  
 რული ბრძოლით თანდათან გზას იკაფავს მსოფლიო  
 კომუნისმისაკენ.

## 1905 წლის რევოლუციური მოძრაობა გურიაში.

იციოთ თქვენ, რას წარმოადგენდა გურია 1905 წ. რევოლუციის დროს?

შეიძლება იცოდეთ ეს თქვენ, თუ თქვენ თვითონ იყავით ამ მოძრაობის მონაწილე.

შეიძლება დღეს, ამ ოცი წლის თავზე, თქვენს მეხსიერებაში კვლავ დაგეხატოთ ეს ბუმბერაში სურათი მთლიანად ან და მისი ზოგიერთი ნაწილი მაინც, მაგრამ სიტყვით ან კალმით აწერა-დასურათება ამ ამბების შეუძლებელია. ჩვენთვის—უბრალო მომაკვდავებისათვის.

1905 წელი საერთოდ საქართველოში და განსაკუთრებით გურიაში კიდევ უცდის თავის ღირსეულ მხატვარს და ისტორიკოსს.

დაწყებული 1902 წლიდან, რევოლუციონური მოძრაობა გურიაში თანდათან ძლიერდება, ღრმავდება, ფართოვდება და მწვავედება.

1905 წლის შემოდგომაზე იგი აღწევს უმწვერვალეს ხარისხამდე. მოძრაობა დაიწყო მიწის სივიწროვის ნიადაგზე დასავლეთ გურიაში, სადაც უფრო მაგრათ იყო ფეხმომაგრებული მსხვილი მიწათმფლობელობა.

აქ თავადი-მემამულეები მათ მიწაზე მომუშავე გლეხებს უზომო შევიწროვებას აყენებდენ.

გაფიცვა, ბოიკოტი, მოჯამაგირე-მოსამსახურეების მოხსნა მემამულე თავად-აზნაურების ოჯახებიდან;

მიწის ძალით ან სრულიად ღალის მიუცემლად, ან და გლეხების მიერ შემუშავებულ პირობებში დამუშავება;

ფარული თუ ნახევრად ფარული კრებები და მიტინგები, რომლებსაც ესწრებოდა დიდი და პატარა ქალიან-კაციანად, და რომლებსაც ხშირად სისხლის ღვრით თავდებობდა (მაგალითად, 1905 წ. ხიდისთავში და ლანჩხუთში);— აი, მოკლედ და ზოგადად რაში გამოიხატებოდა რევოლიუციონური ბრძოლა რევოლიუციის პირველ ხანებში..

ეს, უმთავრესად მიწის სივიწროვით გამოწვეული. ბრძოლა, რაც დრო გადის უფრო და უფრო პოლიტიკურ ხასიათს ღებულობს.

1905 წელს გურიაში კლასიური შეგნება საკმარისად განვითარებულია, პოლიტიკური ბრძოლა უმწვერვალესად გამწვავებულია.

ბრძოლა ადგილობრივი მემამულეების, თავხედ, მუქთახორა თავად-აზნაურობის წინააღმდეგ;

ბრძოლა ხალხის მატყუარა და მძარცველ სასულიერო წოდების წინააღმდეგ;

ბრძოლა მთავრობის და მოხელეების წინააღმდეგ;

ტერორი ხალხის მტერთა და ორგულთა: ჯაშუშ-პროვოკატორების და ნაძირალეების წინააღმდეგ;—

— აი ის გზა და საშუალება, რომლითაც ვიდოდა გურია სამი-ოთხი წლის განმავლობაში და რამაც 1905 წ. მეორე ნახევარში მოგვცა ე. წ. „გურიის დემოკრატიული რესპუბლიკა“.

1905 წ. გაზაფხულზე, ასტრახნიდან გამოქცეული, მე ხიდისთავში მოვხვდი. ხიდისთავი იმ დროს რევოლიუციის მეთაურ სოფლად ითვლებოდა მთელ გურიაში. აქ თითქმის სრულიად იყო განხორციელებული (რასაკვირველია, პატარა საქაზრო საზომით) ჩვენი მაშინდელი ძირითა-

დი ღებულება: მეფის თვითმპყრობელობის მაგიერ ხალხის თვითმპყრობელობა“.

მართლაც: სადაც კი გაიხედავდით, ყველა, იმედით სავსე, აღფრთოვანებული, მოელოდა უკანასკნელ, გადამწყვეტ ბრძოლას ძლიერ მტერთან.

აქ იყო ნამდვილი თავისუფლება, გურია თავის-თავის სრული ბატონ-პატრონი იყო.

მართალია, მას ჰყავდა მეთაურები და წინამძღოლები, ისინი არ იყვნენ ხალხის მიერ არჩეული, მაგრამ ხალხი მათ სრული ნდობით ეპყრობოდა. ხალხი სრული ნდობით უყურებდა თავის წინამძღოლებს, ვინაიდან ისინი მისი წრიდან და წიალიდან იყვნენ გამოსულნი.

**ძმობა, ერთობა, თავისუფლება,** აი რით იყო მაშინ გამსჭვალული გურული ხალხი, აი რაზე ფიქრობდა და ოცნებობდა იგი, აი საითკენ მიისწრაფოდა ის.

მთელი გურია გადაქცეული იყო სააგიტაციო ასპარეზად.

მრავალ ადგილებში იმართებოდა ღია მიტინგები, სადაც მკაფიოდ ისმოდა მჭექარე ხმა და აღზნებული სიტყვები:

**ძირს მემამულეები!**

**ძირს ხუცები!**

**ძირს ბურჟუაზია!**

**გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას!**

**გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!**—აი რა ისმოდა ამ მიტინგებზე.

მიტინგები ხშირად დემონსტრაციებით თავდებოდა, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდნენ მთელი იმ კუთხის მოსახლეობა, გაბრწყინებული სახით, წითელი

დროშებით და გურული „გამყივანით“ შეზავებულ „მარსელიეზის“ და სხვა რევოლიუციური სიმღერებით!

სად იყვნენ ამ დროს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, პოლიცია, ბოქაულები თავიანთი „სტრაჟნიკებითა“ და „ურიადნიკებით“? ზოგი მათგანი რისხვას გაქცეოდა და თავი შეეფარებინა ქალაქებისათვის, ზოგი კი, აქვე დარჩენილი, სოროებში მიმალული იჯდენ სულგანაბული და ხმაგაკმენდილი, გულის კანკალით შეპყურებდნენ ისინი აზღვავებულ ხალხის მოძრაობას.

ხანდახან რომელიმე ასეთი ხალხისაგან შეძულებული და ათვალწუნებული პირი შეეცდებოდა ჩუმად მაინც დასწრებოდა მიტინგს, ხალხი მათ შორი-ახლოს არ იკარებდა და დაუყოვნებლივ აძევებდა.

სხვადასხვა გვარი ბოროტმოქმედება, ქურდობა, მკვლელობა, ლოთობა და სხვა ერთბაშათ მოისპო. დამყარდა რევოლიუციური წესიერება. იშვიათად, მოძრაობის პირველ ხანებში თუ ვინმე ჩაიდენდა რაიმე დანაშაულს; ხალხი მიტინგზე ასამართლებდა ასეთ დამნაშავეს. სადავო საქმების მოსაგვარებლად და მსჯავრის დასადებად ძველი „სუდიების“ მაგიერ ხალხმა შემოიღო **სამედიატორო** სასამართლოების წესით საქმეების გარჩევა. ზოგიერთ შემთხვევებში ასეთი სასამართლოს განაჩენი მიტინგზე გამოჰქონდათ დასტურისათვის.

მღვდელი აღარსად ჩნდა, ეკლესია ყველგან გამოკეტილი იყო, სარწმუნოებამ ერთბაშად და სავსებით დაჰკარგა ყოველივე მნიშვნელობა ხალხის თვალში. გახშირდა „ანაფორის“ გახდა და „გაერისკაცება“.

სამაგიეროდ ეკლესიის ზარი, წინეთ გონებრივი სიბნელე-სიბეჩავის მოციქული, ეხლა რევოლიუციის საყვირი გამხდარიყო.

სარწმუნოება დაეცა, მაგრამ ამით ზნეობა არ დაცემულა. ერთი ყველასათვის და ყველა—რევოლიუციისათვის, ამ აზრითა და ზნით იყო ხალხი გამსჭვალული.

ორგანიზაციული წყობა მაშინ ასეთი იყო:

მთელი გურია დაყოფილი იყო რაიონებად, რომლებსაც თავის რაიონული კომიტეტები და საზოგადოებების (თემი) წარმომადგენლები ედგა სათავეში. სოფლები დაყოფილი იყო საათისთაო და საასისთაო უბნებად. გურიის მოძრაობას ხელმძღვანელობდა გურიის კომიტეტი, რომლის სახელი და გავლენა ერთობ დიდი იყო ხალხში. სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციის განკარგულებაში იყო შეიარაღებული ძალა „წითელი რაზმი“, რომლებიც რევოლიუციონურ წესრიგს იცავდა.

აქ-იქ, დაბებში და სოფლებში კიდევ დარჩენ ძველი მთავრობის შეიარაღებული ძალები. „წითელ-რაზმელების“ მოვალეობას სხვათა შორის ისიც შეადგენდა, რომ მათთვის იარაღი ჩამოერთმიათ. წითელრაზმელებს ჰქონდათ კაი ძალი იარაღი, მაგრამ ხეირიანი იარაღი არ იყო საკმაო. ზოგს ბერდანკები ეშოვა, ზოგს შვეიცარული გრძელი „რაშორერა“—აქ-იქ ვინტოვკაც ჰქონდათ ზოგ-ზოგიერთებს, ბევრი რევოლვერებისა და სანადირო თოფების ამარა იყო.

როგორც ზემოთ ვთქვი, მთელ გურიაში დამყარებული იყო რევოლიუციური წესრიგი, მაგრამ ამავე დროს **ოზურგეთში** მაზრის უფროსი იჯდა. მის განკარგულებაში იმყოფებოდა ყაზახთა რაზმი. რას აკეთებდა მაზრის უფროსი თავის ჯარით? ჯერ-ჯერობით არაფერს. ხალხის წინააღმდეგ გალაშქრებას ის ვერ ბედავდა. იჯდა უქმად ოზურგეთში და სოფლებს არ ეკარებოდა.

ხალხიც თითქმის რყევაში იყო, ჯერ-ჯერობით ვერც იმას გადაეწყვიტა, რომ ჯარს შეტაკებოდა და ოზურგეთიც ხელში ჩაეგდო.

მაგრამ უეცრად მოხდა ერთი ამბავი, რომელმაც დაარღვია ეს ერთგვარი „მშვიდობიანი“ განწყობილება.

**ლაზარენკო** (ეს იყო მაშინ მაზრის უფროსი) ერთი როტა პლასტუნებით დაიძრა ოზურგეთიდან ჩოხატაურისაკენ (ოც ვერსზეა ოზურგეთიდან მოშორებული) რევოლუციის ბანაკის დასაზვერავად და აზვირთებული ხალხის დასაშინებლად.\*)

დაშინებით მან ვერავინ დააშინა, სამაგიეროდ აი რა მოხდა:

მთელ გურიას (განსაკუთრებით გურიის აღმოსავლეთ ნაწილს) ელვის სისწრაფით მოედო მაზრის უფროსის ოზურგეთიდან გამოსვლის ამბავი.

ხალხს მეტის-მეტად სძულდა „ყაზახები“. როცა ისინი ერთ ადგილას ისხდნენ და ხალხს თვალში არ ეჩხირებოდნენ, ხალხიც თითქოს ვერ ამჩნევდა მათ არსებობას და ხმას არ სცემდა. მაგრამ როცა ხალხმა დაინახა, რომ ყაზახები სოფლებს მოედვენ, მოთმინების ძაფი გაწყდა. ნასაკირალთან (ოზურგეთიდან 8—9 ვერსზეა) „წითელრაზმელები“ ღამით თავს დაესხნენ უკან, ოზურგეთისაკენ მომავალ ყაზახებს, რასაც შედეგათ მოჰყვა რამდენიმე ათეული პლასტუნის დაჭრა და სიკვდილი. \*\*)

\*) საბაბათ იყო ჩოხატაურის პოსტის „წითელ რაზმელები“-ს მიერ აღება და ბოქაულ-სტრაუნელების დატყვევება.

\*\*\*) თუ რამდენი იყო მსხვერპლი ყაზახების მხრით, დანამდვილებით არ ვიცით. ერთი ძველი მაშინდელი ამბების მცოდნე და მონაწილე (აბ. წულაძე) ამბობს, რომ „ნასაკირალს“ შედეგათ მოჰყვა 80-მდე ყაზახის სიკვდილი და დაჭრა-დასახიჩრება.

უმეტესი ნაწილი გამაგრდა მახლობელ მთაზე (ცხავათის მთა), რომელსაც მეორე დღეს ოზურგეთიდან მოეშველა ახალი ძალები.

იმ დღესვე გამხეცებულმა ყაზახებმა ცეცხლს მისცეს „ნასაკირალის“ მახლობელი სოფლები და, ვინც ჩაიგდეს ხელში, სიცოცხლეს გამოასალმეს. \*)

„ნასაკირალზე“ თავდასხმის მოლოდინში მთელი გურიის ხალხი მოაწყდა ნაგომარს და დილამდე გულის ფანცქალით ელოდა ბრძოლის შედეგებს. \*\*)

„ნასაკირალის“ ამბავმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა არა მარტო რევოლიუციურ გურიაზე, არამედ მთელ საქართველოზე და რუსეთზედაც; საზღვარგარეთაც კი გადაწვდა გურიის ამბები და „ნასაკირალის“ ბრძოლამ იქაც კი ჰპოვა გამოძახილი.

როცა „ნასაკირალის“ ამბების შემდეგ შემფოთებული მეფის ხელისუფლება ტფილისში ფიცხლავ შეეცადა მხეცი ალიხანოვის მეთაურობით რევოლიუციური გურიის სისხლში ჩახრჩობას, მთელი საქართველოს გლეხობა ფეხზე დადგა და გურიას იმ დროით მაინც ასცდა რეაქციის კიდევ უფრო საშინელი თარეში.

რევოლიუციური მოძრაობა, არა მარტო გურიაში და არა მარტო საქართველოში, მთელ რუსეთში საოცარი სისწრაფით ვითარდებოდა. რუსეთის პროლეტარულ

\*) იგივე აბ. წულაძე ირწმუნება, რომ 190 მეტი მოსახლე გადაწვეს გამხეცებულმა პლასტუნებმა.

\*\*) შედეგი არ იყო ისე დიდი, როგორსაც ხალხი მოელოდა. მიზეზი იყო: „ნასაკირალის“ სტიქ ურობა, გურიის კომიტეტის (მხოლოდ მენშევიკებისაგან შესდგებოდა) დაბნეულობა, „წითელრაზმელების“ გამოუცდელობა და იარალის დაბალი ხარისხი.

ცენტრებში გაჩაღდა ისტორიაში ჯერ არ გაგონილი ეკონომიურ-პოლიტიკური გაფიცვები და დემონსტრაციები.

მეფის მთავრობა შედრკა, შეშინდა და ხელი მოაწერა 17 ოქტომბრის მანიფესტზე. ამ მანიფესტით მეფე შეჰპირდა ხალხს კონსტიტუციას და სამოქალაქო უფლებებს.

ეს იყო ერთგვარი ფანდი, რომლითაც მთავრობას უნდოდა რევოლიუციის ძალებში გათიშვა მოეხდინა და მით რევოლიუციის ქარიშხალი შეენელებინა.

მართლაც „მანიფესტმა“ სავსებით ჩამოაშორა და დაუპირდაპირა რევოლიუციას ბურჟუაზიის ის ნაწილი, რომელიც ოდნავ მაინც თანაუგრძობდა განმათავისუფლებელ მოძრაობას.

მით უფრო გააფთრებით და თავგანწირვით განაგრძობდა ბრძოლა რუსეთის პროლეტარიატმა.

გურია მთავრობის მიერ „მანიფესტი“, როგორც რევოლიუციის გამარჯვების ნიშანი. გურულებს, რასაკვირველია, არ სჯეროდათ მეფის მთავრობის გულწრფელობა, იცოდნენ, რომ დათმობა იძულებითი იყო, მაგრამ მით უმეტეს საჭირო იყო ბრძოლა, და გურულები მეტი ხალისით და აღფრთოვანებით შეუდგნენ ბრძოლის სამზადისს.

გურია ერთ წამსაც ვეღარ შეურიგდებოდა ძველი წესების აჩრდილის არსებობასაც.

ამიერიდან ოზურგეთიც ჩაება რევოლიუციის ფერხულში.

ეხლა რევოლიუციური პროცესი უკვე მიაღწა იმ სამიჯნო ხაზს, რომლისაკენაც ასეთი სისწრაფით მიიღწეოდა გურიის გლეხკაცობა. აქ, გურიაში, დემოკრატიული რესპუბლიკა უკვე არსებობდა. კითხვა მხოლოდ იმაში

იყო, თუ რამდენად გამძლე და ხანგრძლივი იქნებოდა ახალი წყობილება, ხოლო ეს კი იმაზე იყო დამოკიდებული, იყო, თუ რამდენად გამძლე და ხანგრძლივი იქნებოდა ახალი წყობილება, ხოლო ეს კი იმაზე იყო დამოკიდებული, გაიმარჯვებდა თუ არა რევოლიუცია მთელ საქართველოში და უმთავრესად კი რუსეთის სატახტო ქალაქებში.

გურიის რევოლიუციას არ ჰქონდა ვიწრო კუთხური ხასიათი.

გურულები ყოველ წამს მზად იყვნენ (ეს მათ საქმით დაამტკიცეს) თავისი „წითელი რაზმები“ მოთხოვნილებისამებრ გადაესროლათ საქართველოს ამა თუ იმ კუთხეში, მაზრებში და ქალაქებში, თვით რუსეთშიაც კი, სადაც რევოლიუცია დაისაჭიროებდა მათ ძალას.

ამნაირათ რევოლიუციას გურიაში ჰქონდა ქეშმარიტად ინტერნაციონალური ხასიათი.

მაგრამ დიდხანს არ დასცალდათ გურულებს რევოლიუციის მონაპოვართა შენარჩუნება.

ნოემბერ-დეკემბრის თვეებში პეტერბურგისა და მოსკოვის პროლეტარიატი დამარცხდა ბრძოლაში.

მოსკოვის აჯანყების სისხლში ჩახრჩობის შემდეგ გამეფდა შავბნელი რეაქცია, რომლის ერთი ძლიერი ტალღა, ალიხანოვ-ავარსკის მეთაურობით, გურიას დაეჯახა და ლამობდა მის სრულიად წალეკა-განადგურებას.

გურია გადარჩა სრულ განადგურებას გამჭრიახი მანევრების წყალობით, მაგრამ აწიოკება, დარბევა და მრავალნაირი ტანჯვა-წამება მან საკმაოდ იგემა.

მართალია გურიაშიაც გამეფდა რეაქცია, მაგრამ გურია მაინც გურიათ დარჩა, სასოწარ კვეთილება, სულმოკლეობა, იმედის დაკარგვა—მაინც არ დაუტყო გურულებს.

1905 წელმა გურიას მისცა ის, რის წართმევაც არავითარ რეაქციას არ შეეძლო, ე. ი. რევოლუციური შეგნება, რომელიც დღეს, რევოლუციის ოცი წლის თავზე, გაციკროვნებული კომუნისტური იდეალებით, უტყუარი თავდებია იმის, რომ მომავალი გადამწყვეტი ბრძოლის დროს მთელი ქვეყნის იმპერიალიზმთან გურია ძველებურად ისახელებს თავს.

---

#### IV

### ფრანკციული ბრძოლა გურიაში 1905 წ.

აქვე მოკლედ შევეხოთ ბრძოლას მენშევიკებს და ბოლშევიკებს შორის.

უნდა ვთქვათ, რომ ჩემი რუსეთიდან დაბრუნებისას გურიაში, როგორც მახსოვს, თითქმის სრულიად არ ჭაჭანებდა ბოლშევიზმი.

ეს იმას არ ნიშნავს, რასაკვირველია, რომ მთელ გურიაში არცერთი ბოლშევიკიც არ მოიპოვებოდა.

ცხადია, აქა-იქ გურიის ზოგიერთ კუთხეებში იყვნენ თითო-ოროლა ბოლშევიკები, იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ბოლშევიკებს თანაუგრძნობდენ, მაგრამ მათი ხმა ჯერ კიდევ არ ისმოდა, მათ კოლექტიურ მუშაობაზე და გამოსვლებზე აშკარად და სახალხოდ ლაპარაკაც არ შეიძლებოდა.

ჩასვლისთანავე დავესწრი გურიის კონფერენციას. აქ მე პირდაპირ შევეხე კამათში იქ დამსწრე მეთაურ მენშევიკებს.

კონფერენცია წმინდა მენშევიკური იყო, აქ მე ვერც ერთი ბოლშევიკიც ვერ ვნახე თუნდა სათათბირო ხმით, ან და სტუმრად მოსული. ამ კამათს უმნიშვნელოთ მაინც არ ჩაუვლია: თუმც არცერთი მოკამათე მენშევიკი მე არ დამეთანხმა, მაგრამ ის ყალბი წარმოდგენა ბოლშევიზმზე და ბოლშევიკებზე, რომელიც კამათში აშკარად გამოსჭვივოდა, საკმაოდ გაიფანტა.

ამიერიდან დაიწყო ფრაქციული ბრძოლა, რომელმაც ყველაზე უფრო მწვავე ხასიათი მიიღო **ხიდისთავის** და **ჩოხატაურის** რაიონებში, ე. ი. აღმოსავლეთ-გურიაში.

ჩვენ აშკარად გამოვდიოდით მიტინგებზე ბოლშევიკური პლატფორმით და ვიწვევდით მენშევიკებს საკამათოდ.

ფრაქციული ბრძოლა, რაც დრო გადიოდა, მით უფრო და უფრო მწვავე და შეურიგებელ ხასიათს ღებულობდა. მენშევიკები, რომლებიც მანამდე განუსაზღვრელად ბატონობდნენ მთელ გურიაში, აღშფოთებული იყვნენ ბოლშევიკების შეუპოვრობით და „თავხედობით“. ისინი ყოველ საშუალებას ხმარობდნენ ჩვენ დასამარცხებლად. გაშიშვლებული დემაგოგია, პროვოკაცია-ცილისწამება და მუქარა-დაშინება—აი მათი ბრძოლის იარაღი.

ჩვენ შევქმენით ბოლშევიკური ჯგუფი საუკეთესო მუშებისა და გლეხებისაგან ხიდისთავში, ჩოხატაურში და ზოგიერთ სოფელ-თემებში, რომელთაც შედარებით კაი ძალა-გავლენა ჰქონდა ხალხზე ზნეობრივ-პოლიტიკურად.

სადაო იყო:

1) **ორგანიზაციული** საკითხი, იმის შესახებ, თუ ვინ უნდა იყოს პარტიის წევრი.

2) **პოლიტიკურ-ტაქტიკური** საკითხი, იმის შესახებ, თუ როგორი ხასიათისაა დღევანდელი (1905 წ.) რევოლუცია და როგორ უნდა ვიბრძოლოთ, როგორი საშუალებებით და რა გზით უნდა ვიაროთ, რომ უფრო მალე და ნაკლები მსხვერპლით მივალწიოთ დასახულ მიზანს.

ორგანიზაციულად მენშევიკები სავსებით ბატონობდნენ, ვინაიდან მათი ორგანიზაციული გეგმა—ერთობ ხელსაყრელი იყო დემაგოგიური ფანდებისათვის, ისინი

განგებ ულიზიანებდენ გურულებს თავმოყვარეობის გრძნობას.

— ჩვენ „ფართედ“ ვაღებთ პარტიის კარებს, ბოლშევიკები კი თქვენ პარტიაში არ გიშვებენო, — ეუბნებოდენ ისინი გლეხებს.

ყველა გურულს, ბოლშევიკებსა და ბოლშევიკებს ვინც თანაუგრძნობდა, იმათ გარდა, მენშევიკათ და პარტიის წევრათ მოჰქონდა თავი.

— ჩემი მეზობელი, რომელიც სტავლით არ მჯობია, ვერც ჭკუით და ვაშკაცობით მაჯობებს, ის თუ კია პარტიის კაცი, მე რეიზა უნდა ვიყო პარტიის გარეთო, — ამბობდენ ისინი.

ასეთ საყვედურს ხშირად თვით მენშევიკებსაც ეუბნებოდენ ხოლმე გურულები.

მართლაც, მენშევიკები თავის ფართე კარებით ვერ მიიღებდენ ყველას პარტიაში. მსურველი და განცხადების მიმცემი კი ბევრი იყო. გარეთ დარჩენილები კი მაინც საყვედურს ამბობდენ.

ჩვენი, ბოლშევიკური ორგანიზაციული გეგმა კი სულ სხვანაირი იყო.

ჩვენი გეგმით პარტიის კარები მართლაც რომ ძალიან „ვიწროთ“ იყო გაღებული, ჩვენ დიდი სიფრთხილით და შერჩევით ვღებულობდით პარტიაში. უმრავლესობისათვის ასეთი სიფრთხილე გაუგებარი იყო და მხოლოდ მოწინავე და შეგნებული გლეხები ერკვეოდენ ამ საკითხში.

ამიტომ გურულები უფრო მეტი ხალხით და ინტერესით გვისმენდენ ჩვენ, როცა პოლიტიკურ-ტაქტიკურ საკითხებზე ვლაპარაკობდით.

აი ეს საკითხებიც:

1) თანამედროვე (1905 წ.) რევოლუცია შინაარსით თუმცა ბურჟუაზიულია, მაგრამ მისი საბოლოო გამარჯვებამდე მიყვანა შეუძლია არა ბურჟუაზიას, არამედ პროლეტარიატს და გლეხკაცობას.

2) ერთდროულად მოწყობილი შეიარაღებული აჯანყების საშუალებით მეფის თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ, რევოლუციური (ე. ი. ბოლშევიკური) სოციალ-დემოკრატიის მეთაურობით უნდა შედგეს დროებითი რევოლუციური მთავრობა, რომელიც **დროებით** განახორციელებს ამ ორი მშრომელი კლასის დიქტატურას.

დროებითი რევოლუციური მთავრობის პროგრამა იქნება:

ა) მუშათა კლასისათვის 8 საათის სამუშაო დღის დაკანონება, მემამულეებისათვის მიწების ჩამორთმევა და ამ მიწის უფასოდ ღარიბ გლეხებზე გადაცემა.

ბ) დემოკრატიული წყობილების განმტკიცება და

გ) დამფუძნებელი კრების საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭის ყრა.

აი ეს ლოზუნგები, გასაგები ენით ახსნილ-განმარტებული, ძალიან მოსწონდა გურულ ხალხს, როცა მას ამის მოსმენის საშუალება ეძლეოდა.

თუმცა მენშევიკები თავგამოდებით ცდილობდნენ სრულიად წაერთმიათ ჩვენთვის ხალხთან ლაპარაკის საშუალება ან და ხელი შეეშალათ მაინც, მაგრამ ამას ხშირად ვერ ახერხებდნენ, ვინაიდან ხალხს აინტერესებდა ჩვენი სიტყვები.

ამ ნიადაგზე ჩვენი ბრძოლა მენშევიკებთან ერთობ ხელსაყრელი იყო, ვინაიდან რევოლუციური ხალხი ინ-

სტინქიურად გრძნობდა, რომ ჩვენი ხაზი უფრო სწორი იყო, ვიდრე მენშევიკების ორჭოფობა.

ეს ასეც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან პოლიტიკური მდგომარეობა მთელ რუსეთში მაშინ უაღრესათ გამწვანებული იყო, და დღითი დღე უფრო და უფრო მწვანდებოდა.

შეიარაღებული აჯანყების მოწყობის ლოზუნგი თანდათან ნათელი ხდებოდა მებრძოლი ხალხისათვის.

ამ გარემოებით აიხსნება ის, რომ დიდი პოლიტიკური შეგნების და რევოლუციური გატაცების მქონე გურულებს პირდაპირ ხიბლავდა ბოლშევიკური ლოზუნგები.

მიუხედავად ამისა, გურული ხალხი საერთოდ მაინც ცნობდა მენშევიკების მეთაურობას და თუმცა ყოველთვის არა, მაინც მიდიოდა მათი ნაჩვენები გზით.

მაგრამ ხანდახან ისიც ხდებოდა, რომ ხალხი თვითონ აიძულებდა მენშევიკებს ევლოთ ბოლშევიკური გზით. ასეთი მაგალითებიც ბლომად მოიპოვება გურიის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში.

ის გარემოება, რომ ხალხი მენშევიკებს უფრო უჯერებდა, ვიდრე ბოლშევიკებს, აიხსნება სამი რამით:

პირველი იმით, რომ გურიის მენშევიკური ბელადები ხანგრძლივად, რევოლუციის მოძრაობის დასაწყისიდან, მუშაობდნენ გურიაში და, ასე ვთქვათ, შეზრდილი იყვნენ გურულ ხალხთან.

მეორე—გურულებს იმ ხანაში აუცილებლად მიაჩნდათ შეთანხმებული მოქმედება მტერზე გამარჯვებისათვის.

მათ ძალიან ეშინოდათ ფრაქციული ბრძოლის გამწვავების, როგორც გაყოფის, დანაწილების და გათიშვის გამომწვევ მიზეზის.

მესამე—ნ. ჟორდანიას გავლენა მაშინ ერთობ დიდი იყო საერთოდ მთელ საქართველოში და მით უფრო გურიაში, სადაც ის დაიბადა და აღიზარდა.

სამაგალითო იყო გურული ხალხის რევოლიუციონური შემოქმედება 1905 წ.

მაგრამ იყო შეცდომებიც მის ნაბიჯებში.

ამ შეცდომების მიზეზი და სათავე უნდა ვეძიოთ მენშევიკურ ორჭოფობაში, რომლითაც გაჟღენთილი იყვნენ მაშინ გურიის წინამძღოლები.

რევოლიუციურ გურიას, რომელსაც უდიდესი გავლენა ჰქონდა 1905 წ. მთელ საქართველოზე და განსაკუთრებით ქართველ გლეხობაზე, არ ჰყავდა შესაფერი და ღირსეული მეთაურები. მენშევიკები ასეთ მეთაურებად არ ვარგოდნენ.

ბოლშევიკების მუშაობა ერთობ შეზღუდული იყო.

მიუხედავად ამისა, ჩვენ გაბედულ მუშაობას, ჩვენ მოწოდებას პროლეტარული სოციალიზმის დასამყარებლად არ შეეძლო შესაფერი გავლენა არ მოეხდინა ხალხის რევოლიუციურ შემოქმედებაზე.

მაგრამ ეს ცოტაა: ის, რაც ოცი წლის წინად გააკეთა ბოლშევიზმმა გურიაში, შესამჩნევად ხელს უწყობდა და უწყობს ბოლშევიზმის გავრცელებას და დამკვიდრებას დღევანდელ გურიაში.

3560 30 3.

